სოხუმის დაცემის დღიდან 28 წელი გავიდა

27 სექტემბერი 2021

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ვალერიან მჭედლიძემ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო და გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

„დღეს სოხუმის დაცემის დღიდან 28 წელი გავიდა. ეს ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თარიღია ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ათასობით ქართველმა აფხაზეთი იძულებით დატოვა და დევნილად იქცა. თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი წვლილი უნდა შევიტანოთ ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნებაში. ჩვენ აუცილებლად დავიბრუნებთ ერთმანეთს." - აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტი 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო, რომელიც 13 თვისა და 13 დღის განმავლობაში გაგრძელდა. 1993 წლის 27 სექტემბერს შეიარაღებული საომარი მოქმედებები სოხუმის დაცემით დასრულდა.